თემა: **მოგზაურობა** **ქვეთემა**: ფორმების სამეფოში *საათების სავარაუდო რაოდენობა: 6* **კლასი: I**			
მაკროცნება/ მაკროცნებასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:			
კომპლექსური დავალებები (დასახელება)	**სამიზნე ცნებები და ქვეცნებები**	**საკითხები**	**საკვანძო შეკითხვები**
1) სხვადასხვა ფორმით ჯადოსნური სამყაროს გამოსახვა.	**1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)** ● **ხაზი** -სხვადასხვა ტიპის **(**სქელი, წვრილი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი, კონტური) ● **ფორმა**-მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული ● **ფერი**-სხვდასხვა	ნამუშევრის შექმნა სხვადასხვა ფორმის საშუალებით.	● როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ფორ ნამუშევრის შესაქმნელად? ● როგორ გამოვიყენო ხაზები და ფერ ჩემი ჩანაფიქრისა და განწყობის გადმოსაცემად?
გრძელვადიანი მიზანი	**ქვეცნებები:**	**საკვანძო შეკითხვა / შეკითხვები**	**შუალედური სასწავლო მიზანი**

სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	• **ხაზი** -სხვადასხვა ტიპის **(**სქელი, წვრილი, ტეხილი, წყვეტილი, მრუდი,კონტური) • **ფორმა**-მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული • **ფერი-**სხვდასხვა	• როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ფორმა ნამუშევრის შესაქმნელად? • როგორ გამოვიყენო ხაზები და ფერები ჩემი ჩანაფიქრისა და განწყობის გადმოსაცემად?	**კომპლექსური დავალების პირობა**

1. სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები) ***(შედეგები:ს.გ.დაწყ.(I).1,4,5)*** • სათქმელის (ამბის, გრძნობის, აზრის, შთაბეჭდილების, განწყობილების, ემოციების, დამოკიდებულებების, დაკვირვების შედეგების), მხატვრული ჩანაფიქრის გადმოსაცემად ადამიანი იყენებს ხელოვნების ენას,ანუ სახვითი ხელოვნების ელემენტებს (ფერი, ხაზი, ფორმა) და პრინციპებს (მაგ., რიტმი, ძირითადის გამოყოფა, კონტრასტი და სხვ.)	**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები** (რესურსები, აქტივობები): **I ეტაპი: კომპლექსური დავალების ფორმა** როგორ უნდა წარმოვაჩინო საკუთარი ცოდნა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით? **აქტივობა 1.** მოსწავლეებისთვის კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა. როგორ გამოვსახო ჯადოსნური სამყარო სხვადასხვა **ფორმის** საშუალებით? **II ეტაპი: კომპლექსური დავალების შინაარსი** **ნაბიჯი1** როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ტიპის **ხაზი** ჩემი ჩანაფიქრის განსახორციელებლად? **რესურსი/აქტიბობა:** ხაზები ტელესკოლა, ანა გოგორიშვილი, I-II კლასი, რა შეუძლია ხაზს? ხელოვნება, მოსწავლის რვეული, 1 კლასი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 14-15 ხელოვნება, მასწავლებლის წიგნი, 1 კლასი, გამომცემლობა დიოგენე, გვ. 22	წარმოიდგინე, მოგზაურობ „ფორმების სამეფოში“, სადაც ჯადოქარმა საგნებს **ფორმები** შეუცვალა, მაგალითად: მაგიდას ფეხების მაგივრად ხის ფესვები გამოაბა, ხოლო ხეებს ფოთლების ნაცვლად -სხვადასხვა ფორმა (წრეები, ვარსკვლავები, რომბები, კვადრატები) . გამოსახე ფორმაშეცვლილი საგნების სამყარო. ნამუშევრის შესაქმნელად გამოიყენე სხვადასხვა **ფორმა (მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული);** გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი და ფერი** შენი ჩანაფიქრის და განწყობის გადმოსაცემად. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, ხაზგასმით წარმოაჩინე:** • როგორი **ფორმებით** შექმენი ჯადოსნური სამყარო? **(სამ. ცნება1)** • როგორ გადმოეცი შენი ჩანაფიქრი და განწყობა **ხაზებისა** და **ფერების** საშუალებით? **(სამ. ცნება1)**

2. სახვითი ხელოვნების ტექნიკა (*შედეგები:ს.გ.დაწყ.(I).2,4)* ● ადამიანი ხელოვნების ნიმუშის შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა მასალასადა ტექნიკას. **3. სახვითი ხელოვნების დარგები და ჟანრები (*შედეგები: ს.გ.დაწყ.(I).1,2,3,4,5,6)*** ● ხელოვნების სხვადასხვა დარგებად დაყოფას განაპირობებს გამოყენებული მასალა, ტექნიკა, დანიშნულება; ● სახვითი ხელოვნების დარგების ნამუშევრები იქმნება სახვითი	მოსწავლეები ეცნობიან და ავლებენ სხვადასხვა ტიპის ხაზს, წარმოდგენილ ილუსტრაციებზე ამოიცნობენ ხაზების ტიპებს. ხაზების საშუალებით ნახატზე აღადგენენ წაშლილ ნაწილებს. ხაზების საშუალებით შექმნიან ნამუშევრს. **სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები** **ქვეცნება:** ხაზი ● როგორ ხაზებს ხედავ შენ გარშემო? ● როგორი ხაზები არსებობს? ● შეიძლება თუ არა სხვის ნამუშევრებში სხვადასხვა ტიპის ხაზის აღმოჩენა? ● როგორ გავავლო სხვადასხვა ტიპის ხაზი? ● როგორ აღვადგინო ნახატზე წაშლილი ნაწილები ხაზების საშუალებით?	**მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმი:**

ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენებით, თუმცა თითოეული დარგისთვის რომელიმე ელემენტია მეტად დამახასიათებელი. ● ხელოვნება ჟანრებად იყოფა ასახული შინაარსის მიხედვით.		● რისი გადმოცემა შემიძლია ხაზების საშუალებით? ● როგორ დავუკავშირო ხაზები ერთმანეთს? ● როგორ შევქმნა ნახატი სხვადასხვა ხაზის გამოყენებით? ● რა შეუძლია ხაზს?	

ნაბიჯი 2.

შეიძლება თუ არა მარტივი გეომეტრიული და ბუნებაში არსებული **ფორმები** გამოვიყენო ჩემს ნამუშევარში?

რესურსი/აქტივობა:

[გეომეტრიული და ბუნებაში არსებული ფორმები]

[ფორმების მისადაგება გამოსახულებებთან]

[ხელოვნება, 1 კლასი, ელექტრონული რესურსი მასწავლებლის წიგნისთვის, გამომცემლობა კლიო, გვ. 54-55]

ფესვებიანი მაგიდა და ხე გეომეტრიული ფორმებით

ტელესკოლა, ანი გოგორიშვილი, I-II კლასი, ფორმა ბუნებაში (ფოთოლი)

მოსწავლეები გარემოში ამოიცნობენ გეომეტრიულ ფორმებს.

გეომეტრიულ ფორმებს მიუსადაგებენ სხვადასხვა გამოსახულებას. ქმნიან ნამუშევარს სხვადასხვა ფორმის საშუალებით. მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები **ქვეცნება:** ფორმა	• როგორ ფორმებს ვხედავთ ჩვენ გარშემ • როგორი ფორმები არსებობს? • შეიძლება თუ არა ბუნებაში აღმოვაჩინო გეომეტრიული ფორმები? • როგორ ვითამაშო ფორმებით? • რისი გადმოცემა შეიძლება ფორმის საშუალებით? • როგორ შეიძლება შევქმნა ჯადოსნური სამყარო სხვადასხვა ფორმის შეერთებით?

ნაბიჯი 3.

- როგორ გამოვიყენო **ფერი** განწყობის გადმოსაცემად?

რესურსი/აქტივობა:

[ტელესკოლა, ანა გოგორიშვილი, I-II კლასი, ფერი და ფორმა.]

[ფერები და განწყობა]

[პიტ მონდრიანის ნახატი და გასაფერადებელი]

მოსწავლეები ამოიცნობენ და ასახელებენ სხვადასხვა ფერს. მოსწავლეები ნამუშევარში გადმოსცემენ განწყობას ფერების საშუალებით. მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაცია.

სამიზნე ცოდნის (დეკლარატიული, პირობისეული, პროცედურული) კონსტრუირებაზე ორიენტირებული შეკითხვები	
ქვეცნება: ფერი	• რა ფერებს ხედავ შენ გარშემო? • როგორი იქნებოდა სამყარო ფერების გარეშე? • რა შეუძლია ფერს? • რა განწყობას გიქმნის მოცემულ ნამუშევრებში გამოყენებული ფერები? • როგორ შევუხამო ფერები ერთამანეთს?

		• შეიძლება დავუკავშირო ფერი ფორმას? • როგორ შეიძლება გადმოვცე ჩემი განწყობა ფერების საშუალებით? • როგორ განწყობას გიქმნის ეს ნამუშევარი, შეიძლება თუ არა სხვა ფერების გამოყენებით გადმოვცე განსხვავებული ემოცია?

მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:

- აღწერე, როგორ წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი;
- აღწერე, რა პროდუქტი შექმენი;
- როგორ შეძელი ნამუშევარში განწყობის გადმოცემა?
- რისი საშუალებით შექმენი ჯადოსნური სამყარო?
- რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობის პროცესში?

	• რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას? • მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია? • შენი აზრით, რით ჰგავს და რით განსხვავდება შენი დავალება შენი თანაკლასელების ნაშრომებისგან?	

კომპლექსური დავალების ბარათი:

თემა: **მოგზაურობა** **ქვეთემა**: ფორმების სამეფოში	სამიზნე ცნება: **სახვითი ხელოვნების მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები (ელემენტები) და ხერხები (პრინციპები)**	კლასი – I კლასი დრო: 6 საათი
საკითხები: ნამუშევრის შექმნა სხვადასხვა ფორმის გამოყენებით	საკვანძო კითხვები:	

	• როგორ გამოვიყენო სხვადასხვა ფორმა ნამუშევრის შესაქმნელად? • როგორ გამოვიყენო ხაზები და ფერები ჩემი ჩანაფიქრისა და განწყობის გადმოსაცემად?	
დავალების პირობა	წარმოიდგინე, მოგზაურობ „ფორმების სამეფოში“, სადაც ჯადოქარმა საგნებს **ფორმები** შეუცვალა, მაგალითად: მაგიდას ფეხების მაგივრად ხის ფესვები გამოაბა, ხოლო ხეებს ფოთლების ნაცვლად -სხვადასხვა ფორმა (წრეები, ვარსკვლავები, რომბები, კვადრატები) . გამოსახე ფორმაშეცვლილი საგნების სამყარო. ნამუშევრის შესაქმნელად გამოიყენე სხვადასხვა **ფორმა (მარტივი გეომეტრიული, ბუნებაში არსებული);** გამოიყენე **სხვადასხვა ტიპის ხაზი და ფერი** შენი ჩანაფიქრის და განწყობის გადმოსაცემად. **ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრე, ხაზგასმით წარმოაჩინე:**	

	• როგორი **ფორმებით** შექმენი ჯადოსნური სამყარო? **(სამ. ცნება1)** • როგორ გადმოეცი შენი ჩანაფიქრი და განწყობა **ხაზებისა** და **ფერების** საშუალებით? **(სამ. ცნება1)**	